

პროგრამა ხორციელდება საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაციის მიერ და შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის დიდსულოვანი მხარდაჭერის შედეგად და ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) ძალისხმევის საფუძველზე.

კლიმატის ცვლილებისადმი ადაპტაცია და ზემოქმედების შერბილება ადგილობრივ დონეზე

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში არსებული მდგომარეობა

1 მუნიციპალიტეტის ზოგადი დახასიათება

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი კახეთის მხარის ყველაზე დიდი ადმინისტრაციული ერთეულია. მისი ფართობი შეადგენს 2531კმ²-ს, რაც მხარის ტერიტორიის დაახლ. 17%-ია. გამგეობის მონაცემებით, მუნიციპალიტეტის მოსახლეობა 2012 წლის მდგომარეობით 32443 კაცია, ანუ რეგიონის მოსახლეობის 8 %. მუნიციპალიტეტში 16 დასახლებული პუნქტია, მათ შორის 1 ქალაქი და 16 სოფელი. ქალაქის მოსახლეობა 7378 კაცია, ხოლო სოფლად 25065 კაცი ცხოვრობს; ანუ მუნიციპალიტეტის მოსახლეობის 80% სოფლად ცხოვრობს.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ტერიტორიის დიდი ნაწილი ივრის ზეგანს უჭირავს, რომელიც აქაური რელიეფის მთავარი ოროგრაფიული ერთეულია. ივრის ზეგანზე განლაგებულია დიდი შირაქის აკუმულაციური ვაკე, რომელიც გაშლილია ალაზან-ივრის შუამდინარეთში. მისი ზედაპირი 560-700 მ სიმაღლეზე მდებარეობს. ვაკე შემოსაზღვრულია ქოჩების, ნაზარლების, შუანამთისა და არხილოსკალო-ყაშის დაბალი სერებით. დიდი შირაქის ვაკე აღმოსავლეთით უერთდება კასრისწყლის ვაკეს, რომელიც ეროზიული რელიეფით ხასიათდება.

ივრის ზეგანი უკიდურეს სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში გადადის ელდარის დაბლობში, რომელიც წარმოადგენს აზერბაიჯანის ნახევარუდაბნოთა უშუალო გაგრძელებას. დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში ელდარის დაბლობს უჭირავს ივრის მარცხენა სანაპიროს ზოლი, რომლის მაქსიმალური სიგანე არის 6-7 კმ, სიგრძე ივრის გასწვრივ - 20-22 კმ, ხოლო სიმაღლე 100-200 მ. ელდარის დაბლობი ცნობილია მშრალი კლიმატით. აქ წლიური ნალექიანობა 250-300 მმ-ს შეადგენს. ელდარის დაბლობი საქართველოში ერთადერთი ადგილია, სადაც ნამდვილი ნახევარუდაბნოს ლანდშაფტია განვითარებული.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ჩამოყალიბებულია ორი ტიპის ჰავა. სამხრეთ ნაწილში ცხელიზაფხულიანი ზომიერად თბილი სტეპების ჰავაა, ჩრდილოეთ ნაწილში კი - ზომიერად ნოტიო ჰავა, ზომიერად ცივი ზამთრით და ხანგრძლივი თბილი ზაფხულით. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საშუალო წლიური ტემპერატურა 10,3°C, ხოლო აბსოლუტურ მაქსიმუმი - 38°C. წლიურად 400-600 მმ ნალექი მოდის. შირაქის დაბლობი და დედოფლისწყარო შედარებით უხვნალექიანია, სადა ნალექების წლიური მოცულობა შესაბამისად 540 მმ-სა და 650 მმ-ს აღწევს. ნალექების მინიმუმი ფიქსირდება ელდარის დაბლობზე (250-300 მმ), სადაც ნახევრად უდაბნოს ლანდშაფტია განვითარებული.

2 ბუნებრივი საფრთხეები

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგეობის მონაცემებით, მუნიციპალიტეტში გავრცელებული ბუნებრივი საფრთხეებია ძლიერი ქარი, გვალვა და სეტყვა. მათივე ინფორმაციით, აღნიშნული ბუნებრივი საფრთხეების რაოდენობა ბოლო 10 წელიწადში მომატებულია; ასევე მომატებულია გვალვიანობაც. თუმცა, ეს ინფორმაცია არ ემყარება მეტეოროლოგიურ/ჰიდროლოგიურ დაკვირვებებს და ობიექტურ სტატისტიკას, რადგანაც მუნიციპალიტეტში მოქმედი მეტეო-/ჰიდროლოგიური სადგურები არ არსებობს.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, ბუნებრივი კატასტროფები საფრთხეს უქმნის საცხოვრებელ სახლებს, სახნავ-სათეს მიწებს და საზოგადოებრივ ინფრასტრუქტურას. ამასთანავე მდინარე ალაზნის ნაპირების წარცხვა აზიანებს ჭალისპირა სახნავ-სათეს ნაკვეთებს.

მუნიციპალიტეტს გააჩნია ბუნებრივი საფრთხეების მიერ ბოლო 10 წელიწადში მიყენებული ზიანის ეკონომიკური გაანგარიშება რაც შეადგენს 900 000 ლარს;

მუნიციპალიტეტში არ არსებობს კატასტროფების წინასწარი შეტყობინების სისტემა, ხოლო საგანგებო სიტუაციებზე რეაგირებაზე პასუხისმგებელი არიან სახელმწიფო კომისია და სახანძრო სამაშველო სამსახური. გამგეობის ინფორმაციით, მუნიციპალიტეტს გააჩნია საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების გეგმა, რომელიც მოიცავს ხანძარს.

3 სოფლის მეურნეობა და სურსათის უსაფრთხოება

მიწის რესურსები

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ძირითადი ეკონომიკური საქმიანობა სოფლის მეურნეობაა. მუნიციპალიტეტის სასოფლო-სამეურნეო სავარგულების საერთო ფართობი 14 1754 ჰა-ია, აქედან, სახნავ-სათესი მიწის ფართობია 50 514 ჰა, მრავალწლიანი ნარგავების - 1 160 ჰა, სათიბ-სამოვრების - 91 240 ჰა.

ადგილობრივი ხელისუფლების ინფორმაციით, მუნიციპალიტეტის სასოფლო-სამეურნეო მიწის ფონდმა, კერძოდ კი სახნავ-სათესი მიწებმა და სამოვრებმა ბოლო ათ წელიწადში განიცადა დეგრადაცია.

მემცენარეობა

როგორც ზემოთაა მოცემული, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი სახნავ-სათესი მიწების სიუხვით გამოირჩევა, მაგრამ ბოლო ათწლეულში შეიმჩნევა მცენარეული კულტურების მოსავლიანობის შემცირება, რის ძირითად მიზეზებადაც შემდეგი პრიორიტეტულობით სახელდება დაბალპროდუქტიული სათესლე მასალა, არასაკმარისი რწყვა და არახელსაყრელი მეტეოროლოგიური პირობები (გვალვა), მავნებლებთან, სარეველებთან და დაავადებებთან ბრძოლის არაეფექტური საშუალებების გამოყენება.

მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, მუნიციპალიტეტში ვეგეტაციის პერიოდი ბოლო ათ წელში არ შეცვლილა.

მეცხოველეობა

მეცხოველეობა მუნიციპალიტეტში კარგად არის განვითარებული. მსხვილფეხა პირუტყვის რაოდენობა 18000-ს შეადგენს, მათი სულადობა ბოლო 10 წლის განმავლობაში სტაბილურია და პირუტყვის დანაკარგი არ გაზრდილა. მუნიციპალიტეტში არსებული სათიბ-სამოვრები საკმარისია ამ რაოდენობის პირუტყვის შესანახად და შეადგენს 91 240; მოწოდებული ინფორმაციით, ჭარბ მოვებას ადგილი აქვს და სათიბ-სამოვრების დეგრადაცია ხდება. ძირითად პრობლემად სახელდება ვეტერინარული სამსახურების ნაკლებობა. ამასთან ადგილი აქვს სხვა მუნიციპალიტეტებიდან შემოყვანილი ცხვრის (10 000) მოვებას რაც იწვევს საკვების ნაკლებობას და სამოვრების გადამოვებას.

მუნიციპალიტეტში არის დიდი რაოდენობით 200 000 ცხვარი რომელთა დანაკარგი ბოლო ათიწლის მანძილზე არ არის ცნობილი. როგორც წესი, მეცხოველეობაში არსებული პრობლემების შესახებ ადგილობრივ ხელისუფლებას მწირი ინფორმაცია გააჩნია. არ არსებობს ინფორმაცია წველადობის და ხორცპროდუქტიულობის შესახებ. მეცხოველეობაში არსებულ

პროექტები და სერვისები

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში სუსტადაა განვითარებული და ძვირია ისეთი სასოფლო-სამეურნეო სერვისები, როგორცაა ვეტერინარული მომსახურება და მექანიზაციის ცენტრები. მუნიციპალიტეტში არსებობს სოფლის მეურნეობის სამსახური, თუმცა სოფლის მეურნეობაში ახალი ტექნოლოგიების გავრცელებით ძირითადად არასამთავრობო სექტორია დაკავებული. ბოლო 10 წელიწადში ადგილობრივ ხელისუფლებას სოფლის მეურნეობაში პროექტები არ განუხორციელებია. არასამთავრობო სექტორის პროექტებით ხდება მაღალპროდუქტიული და გვალვაგამძლე კულტურების შემოტანა და შესაბამისი კონსულტაციები.

4 ტყის რესურსები

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში მწირია ტყის რესურსები. მისი ტყით დაფარული საერთო ფართი შეადგენს 1500 ჰა-ს, ეს არის ჭალისპირა და სანაპირო ზოლში არსებული ტყე. ტყის რესურსი დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არ შედის, რადგან მუნიციპალიტეტის ტყეების ნაწილი შეადგენს „ვაშლოვანის“ დაცულ ტერიტორიას.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში ადგილი აქვს ტყის არაკანონიერ ჭრას ტყის ხანძრები მუნიციპალიტეტში ხშირი არაა, მაგრამ ტყის ხანძრების ძირითად მიზეზებად ცხელი ამინდები და ადამიანთა დაუდევრობა სახელდება.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში ასევე ხდება ქარსაცავი ზოლების გაჩეხვა, რისი აღდგენაც არ მიმდინარეობს.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ინფორმაციით, ტყის ბუნებრივად აღდგენა ფაქტიურად არ ფიქსირდება. ბოლო 10 წლის განმავლობაში მუნიციპალიტეტში ტყის აღდგენა-განაშენიანების პროექტები არ განხორციელებულა. აქ არ არსებობს სანერგე მეურნეობა, რომლის გამოყენებაც შესაძლებელი იქნებოდა ტყის აღსადგენად.

5 წყლის რესურსები

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტს წყლის მწირი რესურსები გააჩნია. წყლის რესურსები წარმოდგენილია ზედაპირული და მიწისქვეშა წყლებით. მცირე რაოდენობით არის ჭარბტენიანი ტერიტორიებიც, რომლებიც ძირითადად მდინარის ჭალაშია განლაგებული. ჭარბტენიანი ტერიტორიების ფართობი შეადგენს 150 ჰა_ს

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში არ არსებობს მოქმედი ჰიდროლოგიური სადგური და მიწისქვეშა წყლის სამონიტორინგო ქსელი. შესაბამისად, ზედაპირული და მიწისქვეშა წყლების ჰიდროლოგიური პარამეტრების ცვლილების შესახებ ინფორმაცია არ არსებობს.

დედოფლისწყაროს მოსახლეობის წყალმომარაგებისთვის ძირითადად მიწისქვეშა წყლები გამოიყენება; არსებული წყლის რესურსი არ არის საკმარისი მუნიციპალიტეტის მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად. ასევე მეზობელი მუნიციპალიტეტებიდან არ ხდება წყლის გადმოგება.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მოსახლეობის 35%-მდე გააჩნია ცენტრალიზებული წყალმომარაგება; წყალმომარაგების სისტემების მდგომარეობა საშუალოა და დიდ წყლის დანაკარგს ადგილი არ აქვს. დიდ დასახლებებში ცენტრალური წყალმომარაგების სისტემებზე დამონტაჟებულია ინდივიდუალური მრიცხველები. პასუხისმგებელი ორგანოები/სტრუქტურები მუნიციპალიტეტებში წყლის რესურსების განკარგვა/მართვაზე არის გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია, რომელიც უზრუნველყოფს წყლის ხარისხის მონიტორინგს და მოსახლეობისათვის მიწოდებას

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში ცენტრალიზებული წყალმომარაგების გარეშე დარჩენილი მოსახლეობიდან დიდი ნაწილი წყალმომარაგებისთვის იყენებს მიწისქვეშა წყალს, რისთვისაც მოწყობილი აქვს ჭები. მუნიციპალიტეტში არსებობს წყლის რესურსების მართვა-განკარგვაზე პასუხისმგებელი სტრუქტურა.

6 მდინარის ნაპირების დინამიკა

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მდინარეები წარმოდგენილია იორით და ალაზნით, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდინარეების კალაპოტებიდან არ ხდება ინერტული მასალის მოპოვება.

მუნიციპალიტეტის ფარგლებში მდინარე იორზე მოწყობილია საირიგაციო წყალსაცავი (დალის მთა), რისთვისაც აგებულია 34 მ სიმაღლის კაშხალი. დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ინფორმაციით, ადმინისტრაციული ერთეულის ფარგლებში ადგილი აქვს მდინარის ნაპირების ეროზია/წარეცხვა.

7 ინდუსტრია/წარმოება

მუნიციპალიტეტში ინდუსტრია/წარმოება საშუალოდ არის განვითარებული. აქ არის წიაღისეულის მოპოვებითი და გადამამუშავებელი საწარმოები(ნავთობი, კირქვა). წყლის მრიცხველები დამონტაჟებულია ყველა საწარმოში ასევე არის მეტალოპლასტმასის ფანჯრები.

8 ნარჩენების მართვა

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში არის ლიცენზირებული ნაგავსაყრელები. ქ. დედოფლისწყარო ნარჩენების განსათავსებლად იყენებს ქალაქიდან 5 კმ-ით მოცილებულ უბანს, რომელიც აკმაყოფილებს სანიტარული ნაგავსაყრელისთვის დადგენილ პირობებს. ნარჩენების მართვა ხორციელდება დასუფთავების ტერიტორიული სამსახურის მიერ. ბოლო წლებში 4000 მ³ გაიზარდა ნარჩენების რაოდენობა და საშუალო წლიური შეადგინა 20 000 მ³ ეს არის საყოფაცხოვრებო და ბუნებრივი ნარჩენები.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში ასევე არსებობს არალეგალური ნაგავსაყრელები. არალეგალურ ნაგავსაყრელებზე ყოველწლიურად იყრება საშუალოდ 8000-10000 მ³.

სოფლებში ნარჩენების შეგროვება და გატანა ხდება დასუფთავების ტერიტორიული სამსახურის მიერ. ორგანული ნარჩენების კომპოსტირების პრაქტიკა დანერგილი არაა.

9 გენდერი

დედოფლისწყაროს გამგეობის აზრით სოფლის მეურნეობის პროდუქტიულობის შემცირება მამაკაცზე და ქალზე ერთნაირად მტკივნეულად მოქმედებს ასევე წყლის და ტყის რესურსების შემცირება ორივეზე ერთნაირად მოქმედებს რადგან წყალიც და სიტბოც ორივეს ერთნაირად სჭირდებათ. კლიმატის ცვლილებების მიმართ მამაკაციც და ქალიც ერთნაირად მგრძობიარეა.

10 ადგილობრივი მმართველობა

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგეობის თანამშრომლებს გავლილი აქვთ სწავლება კლიმატის ცვლილებებთან დაკავშირებულ საკითხებზე. ისინი იცნობენ საქართველოს მეორე ეროვნულ შეტყობინებას კლიმატის ცვლილებებზე.

მუნიციპალიტეტის გამგეობის წარმომადგენლების შეფასებით, მუნიციპალიტეტს კლიმატის ცვლილებებისადმი მოწყვლადს ხდის შემდეგი საკითხები:

- სოფლის მეურნეობაში არსებული პრობლემები, კერძოდ კი საირიგაციო სისტემების გაუმართაობა და არ არსებობა.
- ქარსაცავი ზოლების გაჩეხვა
- ტყის მასივების აღდგენასთან დაკავშირებული პრობლემები

პროექტები, რომლებიც ბოლო 10 წელიწადში განხორციელდა და/ან დაიგეგმა მუნიციპალიტეტში, ძირითადად მოიცავს ინფრასტრუქტურის განვითარებას წყალმომარაგების სისტემების რეაბილიტაციას (ადგილობრივი ხელისუფლება)

11 დასკვნები და რეკომენდაციები

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგეობის თანამშრომელთა გამოკითხვის შედეგების შეფასების საფუძველზე მუნიციპალიტეტის მოწყვლადობა კლიმატის ცვლილებებისადმი შეიძლება დაუკავშიროთ შემდეგ საკითხებს:

ბუნებრივი საფრთხეები - დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში ბუნებრივი საფრთხეებია გვალვა და სეტყვაა

მუნიციპალიტეტისთვის ასევე სახასიათოა ძლიერი ქარები, რომელთა სიხშირე და ინტენსივობა ასევე შეიძლება გაიზარდოს ტყის ჭრის გამო.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტისთვის ჯერ-ჯერობით არაა შეფასებული მოსალოდნელი ცვლილებები კლიმატში, თუმცა საერთო ტენდენციიდან გამომდინარე შეიძლება ვიფიქროთ, რომ მომავალში კლიმატური ცვლილებები კიდევ უფრო გაამწვავებს ჩამოთვლილ საკითხებს და გაზრდის მუნიციპალიტეტის მოწყვლადობას ბუნებრივი საფრთხეების მიმართ.

სოფლის მეურნეობა - დღეისთვის სოფლის მეურნეობა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში წამყვანი ეკონომიკური საქმიანობაა. მუნიციპალიტეტში არსებული პირობები უფრო მეტად მეცხოველეობის განვითარებისთვისაა ხელსაყრელი.

მოწოდებული ინფორმაციის ანალიზი გვიჩვენებს, რომ მუნიციპალიტეტში ცხვრის რაოდენობა ჭარბია მათ ხელთ არსებული სათიბ-სამოვრების რესურსთან შედარებით. ამისი ინდიკატორია სათიბ-სამოვრების ეროზია გადაძოვების შედეგად. პრობლემას ისიც უნდა ამწვავებდეს, რომ ცხვრის საზაფხულო სამოვრებზე სხვა ადმინისტრაციული ერთეულებიდანაც შემოჰყავთ. მიუხედავად სათიბ-სამოვრების სიმცირისა და დეგრადაციისა, მათი მოვლა-შენარჩუნებისთვის მუნიციპალიტეტში არავითარ ღონისძიებებს არ მიმართავენ.

მუნიციპალიტეტში ცუდადაა განვითარებული სოფლის მეურნეობის სამსახური, რომელიც შესძლებდა სოფლის მეურნეობაში არსებული პრობლემების იდენტიფიცირებას და მათზე რეაგირებას.

ტყის რესურსები - დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში ტყის რესურსები მწირია და მიეკუთვნება ვაშლოვანას ნაკრძალს. ტყის რესურსებთან დაკავშირებით ძირითადი პრობლემებია ტყის უკანონო ჭრა მათ შრის ქარსაცავი ზოლების რომლის აღდგენა არ მიმდინარეობს.

წყლის რესურსები და წყალმოხმარება - დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში წყლის რესურსი მწირია; წყალის რესურსის და მისი ხარისხის მონიტორინგი არ ხდება.

მუნიციპალიტეტში არსებული წყლის რესურსი საკმარისი არ არის არსებული მოთხოვნის სრულად დასაკმაყოფილებლად.

მუნიციპალიტეტის დასახლებებს არ გააჩნია ჩამდინარე წყლების შემკრებ-გამწმენდი ნაგებობები, რამაც შესაძლოა გამოიწვიოს წყლის რესურსების დაბინძურება.

რეკომენდაციები

კლიმატის ცვლილებებთან ადაპტირებისთვის მუნიციპალიტეტში რეკომენდირებულია შემდეგი ზომების გატარება:

- ქარსაცავი ზოლების აღდგენა (რაც თვითმმართველობის პრიორიტეტიც იყო), რაც შეამცირებს ქარების ზემოქმედებას და ხელს შეუწყობს ტემპერატურული რეჟიმის დარეგულირებას მაღალი სიცხეებისას
- სათიბ-სამოვრების ეროზიის პრევენცია, რისთვისაც რამდენიმე მეთოდის გამოყენება შეიძლება. უპირველეს ყოვლისა სასურველია დადგინდეს რეალურად რა რაოდენობის ცხვარი და პირუტყვის ძოვებაა დასაშვები კონკრეტული სამოვრებისთვის და შეძლებისდაგვარად დაცული იქნას ეს ნორმები. ამას გარდა, სასურველია დაინერგოს მონაცვლეობითი ძოვება, დადგინდეს და საჭიროების შემთხვევაში შეიზღუდოს შემოყვანილი პირუტყვის სულადობა, მეცხოველეები გადავიდნენ ნაწილობრივ ბაგურ კვებაზე (რაც მათ წველადობაზეც აისახება).
- ეროზირებული სათიბ-სამოვრების აღდგენა, რისთვისაც შესაძლებელია განხორციელდეს ბალახის თესვა, დროებით შეიზღუდოს ძოვება ეროზირებულ მონაკვეთებზე და სხვა.
- სასურველია მუნიციპალიტეტში გავრცელდეს რწყვის თანამედროვე მეთოდები, რაც შეამცირებს წყლის დანაკარგს და ნიადაგის დამარილიანების რისკს.
- მონაცემთა ბაზის წარმოება ბუნებრივი საფრთხეების და მათ მიერ მიყენებული ზარალის, სოფლის მეურნეობის, წყლის რესურსების, ტყის რესურსების და ნარჩენების მართვის შესახებ, რათა არსებობდეს მუნიციპალიტეტის წინაშე მდგარი გამოწვევების სრული სურათი და შესაძლებელი იყოს ამ გამოწვევების საპასუხო საქმიანობის დაგეგმვა.